

## 2020-2021 სასწავლო წლის

### მაგისტრატურის მისაღები მოთხოვნები - მუსიკის ტექნოლოგია

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 71 და ზემოთ.

შემოქმედებითი ტური სპეციალობაში ტარდება ორ ეტაპად.

**I ეტაპი.** აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს სამაგისტრო პროექტი ელექტრონული ფორმით (CD/DVD): ფოლდერი, რომელიც შეიცავს სამაგისტრო პროექტის წერილობით დახასიათებას [PDF], აუდიო, ვიდეო ან სხვა მედია-დანართით.

საგამოცდო კომისია აფასებს წარდგენილი პროექტის აკადემიურ-შემოქმედებით ხარისხს და პროექტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში განხორციელების რეალურობას. კომისია იღებს გადაწყვეტილებას აბიტურიენტის მეორე ეტაპზე დაშვების/არ დაშვების თაობაზე.

**II ეტაპი.** აბიტურიენტი გადის გასაუბრებას (ქართულ-ინგლისურად) პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც პროექტის უფრო დეტალური პრეზენტაციის საშუალებას იძლევა. შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით;

გასაუბრება შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული ფორმატით ვიდეო ზარის მეშვეობით.